



საქართველოს საპატრიარქოს
წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის
ქართული უნივერსიტეტი

ჰუმანიტარულ მეცნიერებათა და სამართლის სკოლა

სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა
„საქართველოს ისტორია“

ხელნაწერის უფლებით

ბელა გზირიშვილი

საფრანგეთის ემიგრაციის მოღვაწეობის ზოგიერთი
საკითხი-ლევინის მამულის ისტორია

ისტორიის დოქტორის
აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად
წარმოდგენილი ნაშრომის

სადისერტაციო მაცნე

კვალიფიკაციის კოდი 1004

თბილისი

2020 წელი

სადისერტაციო ნაშრომი შესრულებულია საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა და სამართლის სკოლაში

სამეცნიერო ხელმძღვანელი:

როინ მეტრეველი - აკადემიკოსი, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი
ოფიციალური ოპონენტები:

1. **ვახტანგ გურული** - ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი
2. **რუსუდან დაუშვილი** - ისტორიის დოქტორი

დისერტაციის დაცვა შედგება 2020 წლის 8 ივნისს, 15:00 საათზე, საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა და სამართლის სკოლის სადისერტაციო საბჭოს ისტორიის სექციის სადისერტაციო კომიტიის სხდომაზე.

მისამართი: 0179, თბილისი, ილია ჭავჭავაძის №53ა, ქართული უნივერსიტეტის წმ. ილია მართლის სახელობის სხდომათა დარბაზი, IV სართული.

დისერტაციის გაცნობა შეიძლება საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის სამეცნიერო ბიბლიოთეკაში.

სადისერტაციო მაცნე დაიგზავნა 2020 წლის „18 მაისს„

სადისერტაციო საბჭოს ისტორიის

სექციის სწავლული მდივანი:

ისტორიის დოქტორი გვანცა ბურდული

სადისერტაციო ნაშრომის ზოგადი დახასიათება და თემის აქტუალურობა

ქართველი ერის ისტორიაში XX საუკუნის დასაწყისი დიდი პოლიტიკური ძვრებით აღინიშნა: საუკუნეზე მეტ ხანს რუსეთის ბატონობის ქვეშ მყოფმა საქართველომ 1918 წლის 26 მაისს აღიდგინა პოლიტიკური დამოუკიდებლობა, რითაც წარმატებით დასრულდა ქართველი ერის ხანგრძლივი ბრძოლა დამოუკიდებლობისთვის, მაგრამ ყოფილი რუსეთის იმპერიის ტერიტორიაზე წარმოქმნილმა ახალმა სახელმწიფომ-საბჭოთა რუსეთმა, დაარღვია რა 1920 წლის 7 მაისის საქართველოს რესპუბლიკასთან დადებული სამშვიდობო ხელშეკრულება, 1921 წლის თებერვალ-მარტში მოახდინა ქვეყნის ოკუპაცია-ანექსია.

1921 წლის 17 მარტს საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობა, ასევე დამფუძნებელი კრების წევრების ნაწილი (ისე, რომ ქვეყნის საკანონმდებლო ორგანოს არ მოუხსნია საკუთარი უფლება-მოვალეობა), ემიგრაციაში წავიდა საფრანგეთში. პოლიტიკური ემიგრაციის მიზანი იყო ბრძოლის გაგრძელება საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენისათვის ევროპის ქვეყნების მესვეურთა მხარდაჭერის საფუძველზე, რაც მოითხოვდა მოქნილი პოლიტიკის გატარებას, წარსულის გამოცდილების გათვალისწინებას, საერთაშორისო მდგომარეობის მომწიფებასა და მაქსიმალურ მომზადებას, რადგან რუსეთი ნებაყოფილობით არ დათმობდა მისთვის ასე მნიშვნელოვან გეოსტრატეგიულ სახელმწიფოს.

ნოე ჟორდანიამ სამოღვაწეოდ პარიზი აირჩია. 1922 წელს საქართველოს მთავრობამ თავის სახელზე სახელმწიფო სახსრებით ლევილის შატო შეიძინა. ამ ნაბიჯის მიზანი, მამია ბერიშვილისა და სხვა ემიგრანტთა რწმენით, იყო მისი ლტოლვილ ქართველთა თავშესაფრად ქცევა და საქართველოს განთავისუფლების შემდეგ მისი ისევ საქართველოს საკუთრებაში დაბრუნება. მართლაც, ლევილის მყუდრო სავანეში მრავალმა ქართველმა ხიზანმა ჰპოვა თავშესაფარი. მათში არ ჩამქრალა სამშობლოში დაბრუნების იმედი. სამწუხაროდ, ეს იმედი ხანგრძლივი დროის მანძილზე იმედად დარჩა.

1991 წლის 9 აპრილს 1918 წლის 26 მაისის აქტის საფუძველზე საქართველომ ხელახლა აღიდგინა დამოუკიდებლობა და ლევილის მამულის ბედიც დღის წესრიგში დადგა. თითქმის 25 წელი გრძელდებოდა მოლაპარაკებები მამულის საქართველოსთვის დასაბრუნებლად. 2016 წლის 23 სექტემბერს საფრანგეთის რესპუბლიკაში დაბა ლევილის ტერიტორიაზე ხელი მოეწერა ლევილის საქართველოსთვის გადმოცემის აქტს, რითაც დასრულდა ხანგრძლივი ლოდინის პროცესი და მამული მის კანონიერ მემკვიდრეს, ქართველ ხალხს დაუბრუნდა.

პარიზიდან 37 კილომეტრის დაშორებით მდებარე 45000 კვადრატული მეტრი ფართობის ისტორიული მამულის საქართველოსათვის გადმოცემის აქტს საქართველოს მთავრობის მხრიდან ხელი მოაწერა დიასპორის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრმა გელა დუმბაძემ, ხოლო ფრანგული მხრიდან აქტზე ხელმოწერნი საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის (1918-1921) მთავრობის წევრთა ოჯახების - ნოე ჟორდანიას, ნოე რამიშვილის, აკაკი ჩხენკელის, სამსონ ფირცხალავას, ევგენი გეგეჭკორის - შთამომავლები და წარმომადგენლები იყვნენ. ღონისძიებას აგრეთვე ესწრებოდა ორი ფრანგი ნოტარიუსი, რომლებიც ემიგრანტთა ოჯახებსა და საქართველოს სახელმწიფოს წარმოადგენდნენ.

ამდენად, **წინამდებარე ნაშრომის აქტუალურობას** სწორედ ამ მოვლენების შესწავლა განსაზღვრავს. ჩვენი კვლევის მიზანია, გამოვლინდეს საფრანგეთში წასული ქართული ემიგრაციის პოლიტიკური ისტორიის უცნობი ფაქტები, მოხდეს ეროვნული განძის დაუნჯების, ლევილის მამულის შეძენისა და მისი მობინადრეთა ისტორიის მონოგრაფიული შესწავლა-განხილვა. ამ პროცესში ცენტრალური ადგილი უკავია ლევილის არქივში დაცული წყაროების კვლევას. არქივი დღესდღეობით საქართველოშია. წინამდებარე ნაშრომში პირველად მოხდება ლევილის საარქივო მასალის დეტალური სახით გამოკვლევა და მისი შემოტანა მეცნიერული სივრცეში.

საფრანგეთის ქართული ემიგრაციის და ლევილის მამულის ისტორიაზე ბევრი დაწერილა, მაგრამ წინამდებარე სადისერტაციო ნაშრომი პირველი მცდელობაა, მეცნიერულად იქნეს შესწავლილი საფრანგეთის ქართული ემიგრაციის, ლევილის შატოსა და მისი მობინადრეთა ისტორიის ის უცნობი დეტალები, რომლებიც ასახულია ემიგრანტების პირადი არქივებში, ოფიციალურ თუ არაოფიციალურ დოკუმენტებსა და ოქმებში, სხვადასხვა ეპისტოლარულ წერილებსა და ანგარიშებში. თითქმის არაა მონოგრაფიულად შესწავლილი ლევილის საარქივო მასალა, რომელიც დაყოფილია 10 წლიან პერიოდებად დღიდან მამულის შეძენისა და მოიცავს იმ ძირითად ოფიციალურ თუ არაოფიციალურ დოკუმენტებს, რაც ასახულია „Foyer Georgienis“ ოქმებსა და „ქართული კერის“ გამგეობის წევრების

ჩანაწერებში. ეს დოკუმენტები თავმოყრილია საქართველოს ცენტრალურ საისტორიო არქივის ფონდ 2126-ში და მოიცავს 67 ერთეულს

მუშაობის პროცესში ჩვენ თვალწინ გადაიშალა ის უამრავი პრობლემა, ურთიერთდაპირისპირება, მწუხარება და ნოსტალგია სამშობლოზე, რომელიც აწუხებდა უცხო მიწაზე იძულებით შეხიზნულ ადამიანებსა და მათ ოჯახებს. ამიტომ ძალიან მნიშვნელოვანია, რომ კიდევ ერთხელ მოხდეს ლევილის ქართველთა სათვისტომოს ისტორიის სხვადასხვა საკითხის მეცნიერული განხილვა 1922 წლიდან მე-21-ე საუკუნის დასაწყისამდე.

აღნიშნული თემით ბევრი მეცნიერი დაინტერესებულა და ქართული ემიგრაციის თავგადასავალი ბევრჯერ გამხდარა კვლევის საგანი, მაგრამ საკუთრივ ლევილის მამულზე მონოგრაფიული კვლევები ბევრი არ გვაქვს და ზოგადად, ქართული ემიგრაციის თემაზეც გამოთქმული ვარაუდები ზოგჯერ სუბიექტური და ტენდენციურია, ხოლო ამა თუ იმ ისტორიული მოვლენის შეფასება წინააღმდეგობრივი და არაობიექტურად წარმოდგენილი. ამიტომ ძალზე მნიშვნელოვანია სხვადასხვა აზრთა შეჯერებით, უკვე არსებული ფაქტოლოგიური მასალების სისტემატიზაციით, საარქივო ფონდებში მოძიებული ახალი დოკუმენტების საშუალებით მოხდეს ისტორიული რეალობის დადგენა.

კვლევის ძირითადი მიზანი და ამოცანები

სადისერტაციო ნაშრომი მიზნად ისახავს, კიდევ ერთხელ ღრმად და დეტალურად გავაანალიზოთ ის საშინაო და საგარეო ობიექტური მიზეზები, რამაც გამოიწვია პირველი რესპუბლიკის დამოუკიდებლობის დაკარგვა და აქცია იგი საბჭოთა რუსეთის დაპყრობის ობიექტად, წარმოვაჩინოთ საფრანგეთის ქართული ემიგრაციის ძირითადი პრობლემები, შევისწავლოთ იძულებით ემიგრანტის მძიმე ხვედრზიარებული ადამიანების საქართველოს დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის ისტორიის, პარიზის ქართული სათვისტომოსა და ლევილის „მატოს“ მკვიდრთა ურთიერთობის, ლევილის მამულის მნიშვნელობის, მისი საქართველოსთვის დაბრუნების საკითხის ძირითადი ასპექტები, განვსაზღვროთ საზღვარგარეთული ქართული კერების მიერ გაკეთებული დიდი მამულიშვილური საქმეების ადგილი საქართველოს ახალ და უახლეს ისტორიაში.

ნაშრომის მეცნიერული სიახლე

სადისერტაციო ნაშრომში გამოკვლეულია ქართული ემიგრაციის ისტორიის ნაკლებად ცნობილი ფაქტები, რომლების აღმოჩნდა საარქივო დოკუმენტებში. ეს ეხება როგორც ლევილის მამულსა და მის ბინადრებს, ისე პარიზის ქართულ სათვისტომოს.

კვლევის თეორიული და მეთოდოლოგიური საუძვლები

ნაშრომის კვლევის მეთოდები მოიცავს საარქივო წყაროების, ისტორიული და ოფიციალური დოკუმენტების, პერიოდული პრესის, სამეცნიერო კვლევის საფუძველზე ჩამოყალიბებულ ანალიზს, ყველა იმ მონოგრაფიული ნაშრომის შესწავლას, რომელიც პირდაპირ თუ არაპირდაპირ უკავშირდება ქართული ემიგრაციის და ლევილის მამულის თემას. ნაშრომში გამოყენებულია ისტორიული კვლევისა და შედარება-ანალიზის მეთოდები.

ნაშრომის თეორიული ღირებულება

ნაშრომის თეორიული ღირებულება მდგომარეობს იმაში, რომ დღეს, როცა ემიგრაციის ისტორიის საკითხით დაინტერესებულ მეცნიერებს შორის ბევრი საკითხი საკამათოა და ესა თუ ის სიტორიული პიროვნება თუ მოვლენა არაერთგვაროვნად შეფასებული, საარქივო დოკუმენტების შესწავლა-ანალიზს განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება. საარქივო მასალაში წარმოჩენილი სიახლეების გარეშე ვერ გავიაზრებთ ემიგრაციის ისტორიის უმნიშვნელოვანეს მოვლენებს, ვერ მოვახდენთ მათ ობიექტურ შეფასებასა და კუთვნილი ადგილის მიჩენას საქართველოს ახალ ისტორიაში. ნაშრომში განხილული

ფაქტები, ისტორიული მოვლენები და პროცესები, მათი განზოგადების შედეგად მიღებული მოსაზრებები უთუოდ დააინტერესებს ემიგრაციის მკვლევარებს.

ნაშრომის პრაქტიკული მნიშვნელობა

ქართული ემიგრაციის საკითხზე შექმნილ ყველა ნაშრომს უდიდესი პრაქტიკული ღირებულება აქვს, რადგან საბჭოთა ტოტალიტარული რეჟიმის ბატონობის პირობებში ეს თემა იყო ტაბუდადებული და მისი ობიექტური კვლევა თითქმის შეუძლებელი, ამიტომ მეოცე საუკუნის ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ისტორიაში ზევრი თეთრი ლაქა და კითხვა არსებობს, რომელიც ისტორიკოსების კვლევებსა და შეფასებებს ელოდება. ახლა, როდესაც საქართველოს დაუბრუნდა პირველი დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის არქივის ჰარვარდული და პარიზული ნაწილები, როცა აღარაფერი ზღუდავს ქართული ემიგრაციის ისტორიის ობიექტურ შესწავლას, ეს საკითხი განსაკუთრებით აქტუალური და სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი ხდება. ნაშრომში გაანალიზებული ფაქტობრივი მასალა და კვლევის შედეგად მიღებული დასკვნები დაეხმარება საქართველოს ახალი და უახლეს ისტორიით დაინტერესებულ სპეციალისტებს მეოცე საუკუნის დიდი მოვლენების მიუდგომლად შეფასებაში.

ნაშრომის სტრუქტურა და მოცულობა

სადისერტაციო ნაშრომი მოიცავს ანოტაციას (ქართულ და ინგლისურ ენაზე), შესავალს, ხუთ თავს, ოცდაერთ ქვეთავს, დასკვნას, გამოყენებულ ლიტერატურას და დანართს. ნაშრომი შეადგენს 219 გვერდს.

ნაშრომის ძირითადი შინაარსი

შესავალი

შესავალში მოკლედაა წარმოდგენილი ნაშრომში მოცემული ძირითადი მიმართულებები და მიგნებები, რომლებიც შემდეგ გაშლილია ცალკეულ თავებსა თუ პარაგრაფებში.

საარქივო წყაროები და ლიტერატურა

წარმოდგენილი ნაშრომი ძირითადად ეყრდნობა საარქივო წყაროების (ძირითადად საქართველოს ეროვნული არქივიდან, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიბლიოთეკიდან), ისტორიული და ოფიციალური დოკუმენტების, პერიოდული პრესის სამეცნიერო საფუძველზე ჩამოყალიბებულ ანალიზს, ყველა იმ მონოგრაფიული ნაშრომის შესწავლას, რომელიც პირდაპირ თუ არაპირდაპირ უკავშირდება ქართული ემიგრაციისა და ლევილის მამულის თემას. საარქივო მასალიდან განსაკუთრებით აღსანიშნავია ლევილის არქივისა და მამია და ქრისტინე ბერიშვილების პირადი ფონდის დოკუმენტების დეტალური შესწავლისას გამოტანილი დასკვნები.

თემის ირგვლივ არსებული სამეცნიერო მონოგრაფიებიდან განსაკუთრებით მნიშვნელოვანია გურამ შარაძის, გოგი ცხოვრებაძის, ელგუჯა მამუკელაშვილის, ლევან ზაზა ურუშაძის, რუსუდან დაუშვილის, ციცინო ჯგერვალიძის და სხვათა მონოგრაფიები, სტატიები თუ მოგონებები.

ქართული ემიგრაციის ისტორიის შეცნობისთვის უმნიშვნელოვანესია მე-20 საუკუნის იმ ქართულ პოლიტიკურ მოღვაწეთა თუ ემიგრანტების შთამომავლების ნაშრომები, ჩანაწერები, რომლებიც თვითონ იყვნენ მომსწრენი და თვითმხილველნი ამა თუ იმ ისტორიული მოვლენის, ამიტომ მათი მიერ მოწოდებული ცნობები პირველწყაროებადაც შეიძლება ჩაითვალოს. ამ მხრივ აღსანიშნავია კონსტანტინე გვარჯალაძისა და ჟაკლინ ვენერა ხაბულიანის მოგონებები.

თავების ანოტაცია

თავი I. საქართველოს საკითხი მსოფლიოს დიდი ქვეყნების პოლიტიკურ ჭრილში

XX საუკუნის დასაწყისიდან მსოფლიო ბევრი დიდი და ტრაგიკული ისტორიული მოვლენის მოწმე გახდა და საქართველოც, სხვადასხვა ფორმით აღმოჩნდა ჩართული საერთაშორისო პოლიტიკურ თამაშებში, რომლებსაც დიდი ქვეყნები ეწეოდნენ მსოფლიოს ხელახალი გადანაწილებისა და გავლენის სფეროებისათვის ბრძოლაში. ეს პერიოდი გლობალურად ურთულესი მოვლენებით დატვირთული იყო და საქართველოც, როგორც რუსეთის იმპერიის შემადგენელი ნაწილი, აქტიურად მონაწილეობდა მეზობელი თუ ევროპული ქვეყნების პოლიტიკური ინტერესების განხორციელებაში.

1917 წლის თებერვლისა და ოქტომბრის რევოლუციებმა ამიერკავკასიაში სულ სხვა რეალობა შექმნა. საქართველომ 1918 წლის 26 მაისს გამოაცხადა დამოუკიდებლობა, მაგრამ მისი არსებობა არ აღმოჩნდა ხანგრძლივი. საბჭოთა რუსეთმა ჯერ 1920 წლის 7 მაისის ხელშეკრულებით აღიარა საქართველოს პოლიტიკური დამოუკიდებლობა, ხოლო მოკლე ხანში, 1921 წლის თებერვალ-მარტში მოახდინა მის მიერვე აღიარებული ქვეყნის ოკუპაცია-ანექსია.

დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობას, ისე, რომ მის ძირითად საკანონმდებლო ორგანოს არ მოუხსნია უფლება-მოსილება, ემიგრაციაში წავიდა საფრანგეთში, რათა იქ გაეგრძელებინა ბრძოლა დაკარგული თავისუფლების დასაბრუნებლად. ეს ბრძოლა ძირითადად გულისხმობდა ევროპული წამყვანი სახელმწიფოების, სოციალისტური ორგანიზაციების ინფორმირებას იმ უსამართლობის შესახებ, რასაც საბჭოთა რუსეთის მიერ ანექსირებულ საქართველოში ჰქონდა ადგილი.

ემიგრირებულ მთავრობას ძალ-ღონე არ დაუშურებია, რომ საქართველოს საკითხი მსოფლიოს ყურადღების ცენტრში მოხვედრილიყო, მაგრამ ყველაფერი ამაო გამოდგა. ჩვენი ქვეყნის ბედი განსაზღვრა მეოცე საუკუნის ურთულესმა პოლიტიკურმა მოვლენებმა. პირველი მსოფლიო ომისგან აოხრებულ და ძალაგამოცლილ ევროპას რუსეთის ბაზარი უფრო აინტერესებდა, ვიდრე დაპყრობილი და დიდი ქვეყნისგან მიტაცებული საქართველო, ამიტომ მან ზეპირი განცხადებების გარდა მისთვის სხვა ვერაფერი გაიმეტა.

თავი II. ეროვნული საგანძურისა და საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის სახელმწიფო არქივის ოდისეა

2.1 კიდევ ერთხელ ქართული ეროვნული საგანძურის თავგადასავლის შესახებ

2.2 ეროვნული არქივის თავგადასავალი პარიზსა და ჰარვარდში

2.3 მამია და ქრისტინე ბერიშვილების არქივის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტისათვის გადაცემა

ემიგრაციაში წასულმა ეროვნულმა მთავრობამ თან წაიღო საქართველოს ეროვნული საგანძური. საუბრეს მცველად გაჰყვა დამფუძნებელი კრების თავჯდომარის მოადგილე ექვთიმე თაყაიშვილი, რომელმაც განმის საფრანგეთში ყოფნის 24 წლის განმავლობაში ერთხელაც არ დატოვა იგი უყურადღებოდ. მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს მეჭურჭლეთუხუცესი ემიგრაციაში საშინელ

გაჭირვებასა ცხოვრობდა, მან ბოლომდე დაიცვა ქართული განძი სხვადასხვა შინაური თუ გარეული მიმტაცებლებისგან და უკლებლივ დაუბრუნა იგი მის მესაკუთრეს-ქართველ ხალხს.

განძთან ერთად მრავალწლოვანი ოდისეა ხვდა წილად საქართველოს პირველი დემოკრატიული რესპუბლიკის არქივსაც, რომელიც პარიზსა და ჰარვარდში ხანგრძლივად ყოფნის შემდეგ, მხოლოდ მეოცე საუკუნის ბოლოს დაუბრუნდა საქართველოს. ეს იყო უაღრესად მნიშვნელოვანი ფაქტი, რადგან არქივის სამშობლოში ჩამოტანამ შესაძლებელი გახადა მისი შესწავლა და ამით ახალი ფურცლის ჩაწერა საქართველოს ახალ ისტორიაში.

არქივის პარიზული და ჰარვარდული ნაწილების გვერდით საპატიო ადგილი უკავია მამია და ქრისტინე ბერიშვილების პირად ფონდს, რომელიც 2015 წელს საჩუქრად გადასცა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიბლიოთეკას მათმა ვაჟმა ტიერ ბერიშვილმა.

თავი III. ქართული ემიგრაცია საფრანგეთში

3.1 ლევილი-ძეგლი თავისუფალი საქართველოსი

3.2 ლევილის მამულის შექმნა

3.3 პოლონური და ინგლისური ვალი

3.4 ლევილის მამულის მმართველობის ისტორიიდან

3.5 ლევილის მამულის წესდება და შინაგანაწესი

3.6 ქართული კერის ასოციაციის დაარსების ისტორიიდან

3.7 სოციეტესა და კერის ასოციაციის ურთიერთობის საკითხისთვის

3.8 ლევილის კერისა და საფრანგეთის ქართული სათვისტომოს

ურთიერთობის საკითხისთვის

3.9 ლევილის მამულის პრობლემები

3.10 ლევილის მამულზე მზრუნველნი

საფრანგეთში ჩასვლისთანავე, საქართველოს ეროვნულ მთავრობას თავმესაფარი სჭირდებოდა, რისთვისაც მან 1922 წლის 24 ივნისს პარიზის მახლობლად ლევილის შატო შეიძინა. ლევილის მამული გახდა საქართველოს დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის პლაცდარმი და უსამშობლო ქართველებისთვის პატარა საქართველო საფრანგეთში.

მამულის შესანარჩუნებლად საჭირო იყო მისთვის გარკვეული იურიდიული სახის მიცემა. თავდაპირველად ლევილი გაფორმდა როგორც კერძო საკუთრება ორ კაცზე, ხოლო შემდეგ დამფუძნებელმა მამებმა 1928 წლის 30 აპრილს მოძებნეს ახალი სისტემა მამულის სამართავად-შეადგინეს ანდერძი, რომლის მთავარი აზრიც იყო ის, რომ ლევილის მამული შექმნილი იყო საქართველოს მთავრობის ფულით და ამიტომ იგი ქართველი ხალხის საკუთრებას შეადგენდა.

მამულის მმართველობა მოეწყო პარიტეტულ საწყისებზე. იგი გაფორმდა 7 ადამიანზე, რომელიც სამ პარტიას წარმოადგენდა: სოციალ-დემოკრატებს, ეროვნულ-დემოკრატებს და სოციალისტ ფედერალისტებს.

მამულის არსებობის მანძილზე ემიგრანტებში არაერთხელ დაიბადა კითხვა, თუ რა თანხით იყო შექმნილი მამული. მითუმეტეს, რომ საბჭოთა სპეცსამსახურებისთვის განსაკუთრებით პრიორიტეტული იყო ისეთი ცრუ ინფორმაციის გავრცელება, თითქოს ემიგრირებულმა მთავრობამ გაყიდა განძი და ამ თანხით ლევილი შეიძინა. ფიგურირებდა ე.წ. „პოლონური ვალით“ მამულის ყიდვის ვარიანტიც.

ჩვენს მიერ შესწავლილ ყველა დოკუმენტში ხაზგასმულია, რომ ლევილის მამული ნაყიდა საქართველოს ფულით და ამიტომ მისი კანონიერი მესაკუთრეც არის მხოლოდ საქართველო.

საარქივო მასალის ანალიზიდან კარგად ჩანს, რომ ქართულ მამულს კარგად ორგანიზებული მმართველობის სტრუქტურა ჰქონდა. მას მართავდა ორი ორგანო: მეპატრონეთა „სოციეტე“, რომელიც შეიქმნა მამულის ყიდვისთანავე და „ქართული კერის ასოციაცია, რომლის დაარსებაში და მამულის საქველმოქმედო დაწესებულებად გადაკეთებაში დიდი როლი შეასრულა ქართველი ხალხის დიდმა მეგობარმა და მფარველმა სენატორმა მარიუს მუტემ.

ლევლის შატოს მცხოვრებლებისათვის ერთგვარ კონსტიტუციად იქცა კერის ასოციაციის წესდება და შინაგანაწესი, რომელიც აწესრიგებდა მამულის ცხოვრების ყველა სფეროს და მისი მოზინადრეების-, „შეხიზნულების“ ცხოვრების წესს.

მარიუს მუტეს მიერ შექმნილი ლევლის მმართველობის მოდელი ყველაზე ოპტიმალური და იმ მდგომარეობის შესაფერისი იყო, რადგან თუ მამული გაფორმებული იქნებოდა როგორც კერძო საკუთრება, მას მოუწევდა სახელმწიფო გადასახადის გადახდა, რომელიც საკმაოდ სოლიდური იყო. ეს გამოიწვევდა მის გაკოტრებას და მისი მფლობელობა გადავიდოდა სახელმწიფოს ხელში. მარიუს მუტეს გეგმით კი ლევლი გაფორმდა როგორც საქველმოქმედო დაწესებულება, ამიტომ იგი ნაკლებ გადასახადს გადაუხდიდა სახელმწიფოს. ასევე მას ხელს ვერ დაადებდა საბჭოთა კავშირიც, რომელიც ცდილობდა მის დასაკუთრებას.

ამდენად, მამულის არსებული მმართველობა წარმოადგენდა მისი შენარჩუნების საფუძველს. ამიტომ სოციეტეს, როგორც ლევლის იურიდიული გარანტის და კერის ასოციაციის, როგორც მამულის ფიზიკური მომვლელი ორგანოს მწყობრ მუშაობაზე იყო დამოკიდებული ზოგადად ლევლის და მისი მოზინადრეების ბედი. როგორც საარქივო დოკუმენტების შესწავლით ირკვევა, მათ შორის ურთიერთობა სულაც არ ყოფილა ყოველთვის შეხმატკბილებული და შეთანხმებული.

ლევლის მამული ყოველთვის იყო საფრანგეთის ქართული ემიგრაციის ყურადღების ცენტრში. იგი ყოველთვის ცდილობდა მამულის ცხოვრებაში ჩარევას, რაც ლევლის კერასა და საფრანგეთის ქართულ სათვისტომოს შორის პრობლემების კასკადს წარმოშობდა და ქმნიდა დამატებით ურთიერთობის საფუძველს. კონფლიქტის მიზეზი სხვადასხვა სახით ვლინდებოდა და ძირითადად იკვეთებოდა ლევლის მამულში ცხოვრების უფლებისათვის ბრძოლაში.

ქართული მამულს მთელი მისი არსებობის მანძილზე უამრავი პრობლემის გადალახვა მოუხდა, რომელთაგან უმთავრესი იყო მიმე მატერიალური მდგომარეობა და გაჭირვება. ეს, რა თქმა უნდა, ისახებოდა მისი შეხიზნულების განწყობაზე და ხდებოდა სათავე უამრავი არასასიამოვნო ფაქტის. მცხოვრებლები ისედაც ხომ ბევჭირგამოვლილნი და მორალურად განადგურებულნი იყვნენ.

ლევლის მამულს ყველაზე მეტად ესაჭიროებოდა ხშირი რეაბილიტაცია, რომელიც დიდ თანხებთან იყო დაკავშირებული, რაც მას არასოდეს გააჩნდა. ქართული კერა მუდმივად სპონსორის ძიებაში იყო და ხშირად მიმართავდა ხოლმე დახმარებისათვის სხვადასხვა ორგანიზაციას. და ამ გაჭირვების ჟამს ზოგჯერ გამოჩნდებოდნენ ხოლმე ღვთისნიერი ადამიანები, ძირითადად ემიგრანტებიდან, რომელთაც გულთან მიჰქონდათ ლევლის ბინადრების გასაჭირი და მათ უანგაროდ ეხმარებოდნენ. სწორედ ასეთმა სიტუაციამ და ერთმანეთის გვერდში დგომამ გადაარჩინა ქართველობა მთელი მისი არსებობის მანძილზე.

IV თავი. ემიგრანტების ცხოვრება

4.1 ლევლის ბინადარნი

4.2 დაპირისპირება ემიგრანტებში ლევლის საარქივო დოკუმენტების მიხედვით

4.3 ემიგრანტული ცხოვრების ეპიზოდები ლევლის დოკუმენტების მიხედვით

4.4 ლევლის ქართული პანთეონი

მამულის შატოში მისი შეძენისთანავე პირველი ბინადარნი იყვნენ ექვთიმე თაყაიშვილი, კარლო ჩხეიძე, კონსტანტინე კანდელაკი, გრიგოლ ვეშაპელი, ბატონინი ლეჰრანი, ვალოდია გოგუაძე, რაჟდენ არსენიძე, გიორგი ერაძე, არჩილ არავიაშვილი და სხვები. სამშობლოდაკარგული ემიგრანტები უნდა შეგუებოდნენ სრულიად ახალ სამშობლოს და უცხო პირობებს. ზოგიერთი მათგანისთვის ეს თითქმის შეუძლებელი აღმოჩნდა, მაგალითად კარლო ჩხეიძისთვის, რომელმაც 1926 წელს თვითმკვლელობით დაასრულა სიცოცხლე, ხოლო სხვებისთვის ის აუცილებლობა, რომ საჭირო იყო ქვეყნის გასანთავისუფლებლად ბრძოლის გაგრძელება, ახალ ცხოვრებასთან შეგუების სტიმული აღმოჩნდა და მათ სამშობლოს მთელი სიყვარული დააფრქვიეს ლევლის მამულს, სადაც შექმნეს პატარა საქართველო საფრანგეთში. სწორედ ამის შემდეგ იქცა ლევლი საქართველოს დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის მთავარ შტაბბინად.

თუმცა ლევლის ბინადრებს შორის არ იყო მუდმივად კეთილგანწყობითი დამოკიდებულება. საარქივო მასალის შესწავლით ირკვევა, რომ ხიზნებს შორის რთული, ზოგჯერ ურთიერთსიძულვილამდე მისული ურთიერთობა ყალიბდებოდა, რომლის საფუძველსაც ქმნიდა ისეთი

პრობლემური საკითხები, როგორცაა ლევილის მამულის მემკვიდრეობა, იქ ცხოვრების უფლების მოპოვება, საქართველოს მთავრობის არქივის ყველასადმი მიუწვდომლობა და სხვა უამრავი მიზეზი. ამ კომფლიქტს წარმოშობდა და აღვივებდა როგორც ცხოვრების აუტანელი პირობები და სამშობლოზე ნოსტალგია, ისე საბჭოთა სპეცსამსახურების აშკარა თუ ფარული საქმიანობა, რომელთა პირდაპირ მიზანს შეადგენდა ემიგრაციაში შუღლის დათესვა და მათი დაქსაქსვა.

მაგრამ ემიგრაციის ისტორია ასევე სავსეა ურთიერთთანადგომის და სიყვარულის საოცარი მაგალითებითაც, რომლის გმირებიც იყვნენ ხშირად ისტორიისთვის უცნობი ადამიანები. მხოლოდ საარქივო მასალის შესწავლამ მოჰფინა დღის სინათლე ემიგრაციის ისეთ გამოჩენილი მოღვაწის კეთილ საქმეებს, როგორც იყო ლევან ზურაბიშვილი. მხოლოდ საარქივო წერილებში გაბნეული ამბებიდან შევიტყვეთ მისი საკაიკაცო და მოძმის დასახმარებლად მიმართულ ქმედებებზე, რომელიც მას იმიტომ არ გაუკეთებია, ვინმესგან ქება-დიდება მიეღო, არამედ მისთვის უპირველესი იყო ყველაზე დიდი ქრისტიანული მცნება „გიყვარდეს მოყვასი შენი“ და ამ ცნების ერთგულება მთელი მისი ცხოვრების არსს შეადგენდა.

უცხო ქვეყნის კალთას შეფარებული ემიგრანტების ყველაზე დიდი ძახილი მიწის ყივილი და სამშობლოს უსასრულო მონატრება იყო. ისინი იბრძოდნენ, საქმიანობდნენ, წერდნენ საქართველოსთვის, სამშობლოს ნოსტალგია გამოსჭვიოდა მათ მიერ დაწერილ თითოეულ სტრიქონში, ლექსში, პუბლიკაციასა თუ სამეცნიერო ნაშრომში, მაგრამ ლტოლვილები ალბათ ყველაზე საშინელ სიზმარშიც კი ვერ წარმოიდგენდნენ, რომ საკუთარი სამშობლოს მიწა მათთვის მონატრებად დარჩებოდა და მის მაგივრად ლევილის ქართველთა პანთეონი გახდებოდა მათი საბოლოო განსასვენებელი. ყველაფრის მეტყველია კოკი დადიანის საფლავის წარწერა ლევილში-„ძელების კი ფიქრობს საქართველოზე“ და აქ ყოველგვარი კომენტარი ზედმეტია.

V თავი. ლევილის საქართველოსთვის გადაცემის პრობლემა

5.1 ლევილის მამულის საქართველოსთვის გადაცემის წინაპირობები

5.2 ლევილის მამულის საქართველოსთვის გადმოცემა

5.3 საქართველოს პირველი რესპუბლიკის ისტორიული და კულტურული ქართულ-ფრანგული მემორიალური ცენტრი-ლევილის ქართული აკადემია დღეს

5.4 ლევილის მამულის საქართველოსთვის გადმოცემის მნიშვნელობა

დღიდან მამულის შეძენისა ლევილი იყო ქართველი ხალხის კუთვნილება. ეს ხაზგასმული იყო მის ყველა ოფიციალურ თუ არაოფიციალურ დოკუმენტში. როგორც კი საქართველო აღიდგენდა დამოუკიდებლობას ლევილის ქართული მამული აუცილებლად უნდა დაბრუნებოდა მის პატრონს-საქართველოს. თუმცა ლევილის დამფუძნებელმა მამებმა გარკვეული პირობები შეიმუშავეს, თუ როგორ და რის საფუძველზე განხორციელდებოდა ეს ღირშესანიშნავი აქტი.

და ამისათვის სამზადისი დაიწყო ჯერ კიდევ ჩვენი ქვეყნის დამოუკიდებლობის გამოცხადებამდე, რომლის ცენტრალური ფიგურაც აღმოჩნდა პროფესორი გურამ შარაძე. მისმა დაულალავმა მოღვაწეობამ ემიგრანტებთან ერთად შესაძლებელი გახადა ლევილის ქართული მამულის საქართველოსთვის დაბრუნების საქმიანობის დაწყება. მოლაპარაკებები აქტიურ ფაზაში შევიდა ქვეყნის დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ. ქართულმა სახელმწიფომ შეიმუშავა პროექტი, რომელშიც დეტალებში იყო გაწერილი ყველა ღონისძიება ლევილის მამულის რებილიტაციისა და მის სამეცნიერო-კულტურულ დაწესებულებად გადაქცევის შესახებ.

2016 წლის 23 სექტემბერს დაბა ლევილში შედგა ჩვენი ქვეყნის უახლეს ისტორიაში უმნიშვნელოვანესი ისტორიული აქტი-მრავალწლიანი მოლაპარაკებების შემდეგ ლევილის ქართველთა მამული დაუბრუნდა მის პატრონს-საქართველოს, რითაც აღსრულდა ქართველი ემიგრანტების მრავალწლიანი ოცნება.

საფრანგეთში საქართველოს სრულუფლებიანი დესპანის, ბატონ გოჩა ჯავახიშვილის მიერ მოწოდებული რეზიუმული დოკუმენტით ჩვენთვის ცნობილი გახდა ლევილის მამულში ქართული მხარის მიერ დაგეგმილი აღდგენითი-სარეაბილიტაციო სამუშაოების შესახებ დეტალური ინფორმაცია,

რომლის განხორციელებითაც ლევილის მამული გადაიქცევა საქართველოს პირველი რესპუბლიკის ისტორიული მემკვიდრეობის ქართულ-ფრანგული კულტურის მემორიალურ ცენტრად.

დასკვნა

სადისერტაციო ნაშრომის ბოლოს წარმოდგენილ დასკვნაში აღნიშნულია მიმოხილვა იმ საკითხებისა და სიახლეებისა, რომლებიც გაჟღერებულია ნაშრომში.

1918 წლის 26 მაისს, რუსეთში მომხდარი ორი რევოლუციის შემდეგ, ჩვენმა ქვეყანამ მოიპოვა დამოუკიდებლობა, მაგრამ მისი არსებობა არ აღმოჩნდა ხანგრძლივი, საბჭოთა რუსეთმა 1921 წლის თებერვალ-მარტში მოახდინა მისი ხელახალი ოკუპაცია-ანექსია და პირველი დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობა იძულებული გახდა ემიგრაციაში წასულიყო საფრანგეთში. ემიგრაციის მიზანი იყო ევროპის წამყვანი ქვეყნების, სოციალისტური საზოგადოებების ინფორმირება საქართველოში განვითარებული ტრაგიკული მოვლენების შესახებ და მათი დახმარებით დაკარგული თავისუფლების დაბრუნება.

ემიგრირებულ მთავრობას თავშესაფარი ესაჭიროებოდა და სწორედ ამიტომ პარიზის მახლობლად ლევილის შატო შეიძინა, რომელიც გახდა განმათავისუფლებელი ბრძოლის შტაბ-ბინა და პატარა საქართველო საფრანგეთში. ემიგრანტები იმედოვნებდნენ, რომ მსოფლიოს სახელმწიფოების ზეწოლით საბჭოთა რუსეთი ხელს აიღებდა მისთვის ანექსირებულ ქვეყანაზე და საქართველო აღიდგენდა პოლიტიკურ დამოუკიდებლობას. მაგრამ ეს იმედი იმედად დარჩა. პირველი მსოფლიო ომისგან დაზარალებულ ევროპას სულის მოსათქმელად რუსეთის ბაზარი და მასთან ნორმალური ურთიერთობის აღდგენა უფრო აინტერესებდა, ვიდრე პატარა ქვეყნის თავისუფლება, ამიტომაც ეროვნული მთავრობის ყოველი ღონისძიება, მიმართული მსოფლიოს ყურადღების ცენტრში საქართველოს მოხვედრისათვის ამაო გამოდგა.

ლევილის მყუდრო სავანეში უამრავმა ქართველმა ჰპოვა თავშესაფარი და მათი ოცნება, ოდესმე დაბრუნებულიყვნენ სათაყვანებელ სამშობლოში, გაცრუდა და ბევრი მათგანისთვის საბოლოო ადგილი ლევილის ქართველთა საგოდებელი ან საფრანგეთის სხვა განსასვენებელი აღმოჩნდა.

ლევილის მამულის შეძენისთანავე გაფორმებულ თუ შემდეგ გამოცემულ ყველა დოკუმენტში ეროვნული მთავრობის წარმომადგენლები აჟღერებდნენ იმ ფაქტს, რომ მამული შეზენილი იყო მთავრობის ფულით და ქართველი ხალხის საკუთრებას შეადგენდა. როგორც კი საქართველო აღიდგენდა პოლიტიკურ დამოუკიდებლობას, მას დაუბრუნდებოდა პატარა საქართველო საფრანგეთში.

მართლაც დიდი ხნის მოლაპარაკებების, სხვადასხვა წინააღმდეგობების გადალახვის შემდეგ 2016 წლის 23 სექტემბერს დაბა ლევილში საზეიმო ვითარებაში ლევილის მამულის საქართველოს საკუთრებაში გადაეცა. ეს იყო მეტად მნიშვნელოვანი ისტორიული მოვლენა. ჯერ ერთი, აღსრულდა ქართველი ხალხის მრავალწლიანი ოცნება: მამული საქართველოს დაუბრუნდა. მეორე, ამ ფაქტმა აამაღლა საქართველოს საერთაშორისო ავტორიტეტი. მესამე, კიდევ ერთხელ ხაზი გაესვა ქართული ემიგრაციის უდიდეს პატრიოტიზმს და თავდადებას საქართველოს მიმართ. თავიდანვე ლევილი საქართველოს საკუთრებას წარმოადგენდა, მაგრამ იმ დროის ისტორიული აზრებით იგი გაფორმდა, როგორც კერძო საკუთრება, რომ საბჭოთა რუსეთს არ ჩავარდნოდა ხელში. მისი ფაქტიური მესაკუთრეები ყოველთვის ხაზს უსვამდნენ იმას, რომ ლევილი საქართველოს ეკუთვნოდა, მიუხედავად იმისა, რომ მათ ამაში არავინ ავალდებულებდა, გარდა საკუთარი პასუხისმგებლობისა ქვეყნისა და ერის წინაშე და როგორც კი დღის წესრიგში დადგა მამულის რეალური დაბრუნების საკითხი საქართველოსთვის, ემიგრაციის არც ერთ შთამომავალს ხელი არ აკანკალებია, რომ თანხმობაზე ხელი მოეწერა.

ლევილის გადმოცემის შემდეგ დაისახა გეგმა მისი შემდგომი სარგებლობის შესახებ. დღის წესრიგში დადგა არაერთი მოსაზრება: უმნიშვნელოვანესი იქნება მისი სამეცნიერო დანიშნულებით გამოყენება, რომ შეიქმნას ქართულ-ფრანგული მეცნიერებათა აკადემია, მოეწყოს ქართულ-ფრანგული კულტურის ცენტრი, რომელიც იმოდღაწევებს შემოქმედებითი სფეროს ყველა მიმართულებით, განთავსდეს სამუზეუმო, საგამოფენო, სასწავლო-საგანმანათლებლო, საბიბლიოთეკო სივრცეები და სხვა.

ამრიგად, ლევილის მამული ემიგრირებულმა მთავრობამ თითქოს იმისთვის შეიძინა, რომ იგი ყოფილიყო მთავარ პორ-ფოსტი საქართველოს დამოუკიდებლობის დაბრუნებისთვის ბრძოლაში, ხოლო იქ შეხიზნულ ადამიანებს ის ეგონათ თავისი დროებითი ნავთსაყუდელი, მაგრამ როგორც შემდეგ აღმოჩნდა მათი საბოლოო ადგილი აღმოჩნდა ლევილის საუკუნო განსასვენებელი, ან საფრანგეთის სხვა

საგოდებელი (შატუს, პერ-ლაშეზის, სენტ უენის და სხვა). ლევილის მამული იყო პატარა საქართველო საფრანგეთში, ქართული კუნძული სამშობლოდაკარგული ემიგრანტებისთვის და ამიტომ მისი ისტორია ორგანულადაა დაკავშირებული ჩვენი სამშობლოს ისტორიასთან.

თემასთან დაკავშირებული გამოქვეყნებული პუბლიკაციები:

1. ბელა გზირიშვილი, „ზოგიერთი საკითხი ლევილის მამულის ისტორიიდან“, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის მაცნე, თბ.2018, №2, გვ. 178-188.
2. ბელა გზირიშვილი, „ემიგრანტული ცხოვრების ეპიზოდები ლევილის დოკუმენტების მიხედვით“, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის მაცნე, თბ.2019, №1, გვ. 178-189.
3. ბელა გზირიშვილი, „დაპირისპირება ემიგრანტებში ლევილის საარქივო დოკუმენტების მიხედვით“, ახალი საქართველოს უნივერსიტეტის კავკასიური ფილოსოფიისა და თეოლოგიის სამეცნიერო-კვლევითი არქივის ინტერდისციპლინური კონფერენციის შრომები.



Saint Andrew the First-Called Georgian University of the Patriarchate of Georgia

School of Humanities and Law

**Doctoral Educational Program
"History of Georgia"**

With the right of manuscript

Bela Gzirishvili

**The history of the Leuville estate
Some of the issues of Georgian emigration in France**

**From the presented dissertation for obtaining the Academic Degree
Doctor of Philosophy in History**

AN ABSTRACT

Qualification code 1004

Tbilisi

2020

The dissertation thesis is performed at the School of Humanities and Law at St. Andrew the First Called Georgian University of the Patriarchate of Georgia.

The Head of the Scientific Research:

Roin Metreveli- PhD professor and Academician

Official Opponents:

1. **Vakhtang Guruli**-Doctor of History, Professor
2. **Rusudan Daushvili**-Doctor of History

The defense of the dissertation will take place on 2020, at – 8 June, p.m –15:00--
at the meeting of Dissertation Committee of the section of History of the Dissertation Board of the School of Humanities and Law at St. Andrew the First Called Georgian University of the Patriarchate of Georgia.

Address: 0179, N53a I. Chavchavadze Ave, Tbilisi. St. Illia the Righteous sitting hall at the Georgian University, IV floor.

The dissertation can be read in the scientific library of St. Andrew the First-Called Georgian University of the Patriarchate of Georgia.

The abstract was sent out on „18 „ May „ 2020 „

Scientific Secretary of the History Section
of the Dissertation Board:
PhD in History Gvantsa Burduli

General description of the dissertation and the importance of the issue

